Honorary Doctor

კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY

## ჰასან ბ. დიაბი

პროფესორი დიაბი არის ლიბანელი აკადემიკოსი, ინჟინერი, ხელმძღვანელი, დოქტორი და პოლიტიკოსი, რომელიც აკადემიურ სივრცეში მოღვაწეობს 33 წელზე მეტია, აქედან 20 წელი აღმასრულებელ პოზიციებზე, წამყვან ორგანიზაციებში სამთავრობო, აკადემიურ და არაკომერციულ სექტორებში. ის იყო ლიბანის მინისტრთა საბჭოს 26-ე პრეზიდენტი და პირველი პრემიერ მინისტრი MENA-ის რეგიონის ისტორიაში, რომელმაც შექმნა მინისტრთა კაბინეტი 30% ქალი მინისტრებით (6 - 20-დან). მან შეასრულა უდიდესი დავალება პრემიერ მინისტრის თანამდებობაზე (19 დეკემბერი, 2019 - 10 სექტემბერი, 2021) ლიბანის ისტორიაში ყველაზე მძაფრი კრიზისის პერიოდში და მოახერხა მრავალი ანტიკორუფციული ბრძანებისა და კანონის მიღება. მისმა ტექნოკრატიულმა საბჭომ, რომელიც იყო გამონაკლისი ლიბანის პოლიტიკაში და ყველაზე მიმსგავსებული ტექნოკრატიული საბჭოს სპეციფიკაციასთან, პირველად დაამტკიცა ლიბანის ისტორიაში სასამართლო აუდიტი ცენტრალურ ბანკზე, ისევე როგორც პირველი ეროვნული რეფორმის გეგმა, რომელიც ეხებოდა ეკონომიკურ, ფინანსურ და სოციალურ პრობლემებს, რომელიც გამოწვეული იყო სამი ათწლეულის არასწორი მენეჯმენტით. გეგმა დადებითად შეაფასა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის გაერომ, ევროკავშირმა, მსოფლიო ბანკმა და IMF-მა. მას მტკიცედ სწამს, რომ ეფექტური ლიდერობა ნიშნავს მორალური ავტორიტეტის ქონას და არა ფორმალურ ავტორიტეტს, ლიდერობა არის ჯგუფში არა მიმდევრების, არამედ ლიდერების ჩამოყალიბება.

2011 წლის 13 ივნისს იგი დაინიშნა ლიბანის ყველაზე დიდი სამინისტროს, განათლებისა და უმაღლესი განათლების, მინისტრად. ის იყო ტექნოკრატი მინისტრი, რაც ანომალია იყო ლიბანის პოლიტიკაში. პროფესორი დიაბი 70-ე მინისტრი იყო 2011-2014 წლებში იმ დროს, როდესაც ლიბანი დამოუკიდებლობის (1943) დღიდან 70 წლის იუბილეს (2013) აღნიშნავდა. ერთადერთია 70 მინისტრიდან, რომელმაც დაიკავა ეს თანამდებობა და ამასთანავე იყო პროფესორი და ვიცე-პრეზიდენტი ტოპ უნივერსიტეტში (ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტი) MENA-ს რეგიონში (QS 2018 შედეგების მიხედვით). ამან მას საშუალება მისცა განედევნა პარტიული პოლიტიკა და ეწარმოებინა ეროვნული პოლიტიკა, რასაც მრავალი მიღწევა მოყვა ქვეყნის განათლების სექტორის სასარგებლოდ. მისი მინისტრობის პერიოდში განხორციელდა უპრეცედენტო მიღწევები, მათ შორის ახალი უმაღლესი განათლების (HE) კანონი, რომელმაც შეცვალა 40 წლის წინ მიღებული კანონი. მან ასევე პირველად მიიღო ბრძანება საზოგადოებისთვის სასარგებლო სამსახურის შესახებ, რომელიც ავალდებულებდა საშუალო სკოლის მოსწავლეებს 60 საათი საზოგადოებრივი შრომით დაკავებულიყვნენ, რაც ხელს შეუწყობდა მოხალისეობაში მოხალისეობრივი კულტურის პოპულარიზაციას.

გარდა ამისა, 2013 წლის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ანგარიშმა (გვ. 229) ლიბანს შემდეგი რეიტინგი მიანიჭა უმაღლესი განათლების სფეროში (144 ქვეყნიდან): 1. სკოლებში მენეჯმენტის ხარისხი - მე-13 ადგილი; 2. განათლების ხარისხი - მე-10 ადგილი და 3. მათემატიკისა და მეცნიერების განათლების ხარისხი - მე-4 ადგილი. ლიბანს უსწრებდა მხოლოდ სინგაპური, ფინეთი და ბელგია.

ის მხარს უჭერდა ლიბანში განათლების რეფორმას და ამ თემაზე არაერთი სტატია და წიგნი გამოსცა. მისი მისწრაფება ახალგაზრდების გაძლიერებაა, როგორც მან ახსენა კეიტ ვიზთან, „ლიკ რადიოზე“ გადაცემაში „Talking Points“, ლონდონი, 2022 წელი. 15 წლიანი გამოცდილებით აღმასრულებელი დირექტორისა და ლიდერის პოზიციაზე, ის იყო ვიცე-პრეზიდენტი(2006-2020) ბეირუთის ამერიკულ უნივერსიტეტში(BAU) და კომპიუტერული ინჟინერიის პროფესორი (1985-2020) მარუნ სემაანის საინჟინრო და არქიტექტურის ფაკულტეტზე. ვიცე-პრეზიდენტის პოზიციაზე იგი ხელმძღვანელობდა 80-მდე პროექტს 20 სხვადასხვა ქვეყანაში, ერთი წლის განმავლობაში. 30 წლის ასაკში ის გახდა ყველაზე ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც 6 წელი იმსახურა AUB სენატორის პოზიციაზე და 37 წლის ასაკში ასევე ყველაზე ახალგაზრდა სენატორი გახდა, რომელიც დაწინაურდა სრული პროფესორის პოზიციამდე. პროფესორ დიაბს აქვს გამოქვეყნებული 150-ზე მეტი პუბლიკაცია საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებსა და კონფერენციებში. ის რეგისტრირებულია მაღალი კვალიფიკაციის ინჟინრად, დიდი ბრიტანეთის საინჟინრო საბჭოში, ასევე იყო დიდი ბრიტანეთის ინჟინერიის და ტექნოლოგიების ინსტიტუტის (IET) წევრი. 42 წლის ასაკში კი გახდა ავსტრალიის ინჟინრების ინსტიტუტის სტიპენდიატი, რაც მისი წევრების მხოლოდ 6.6%-მა მოახერხა. პროფესორი დიაბი მისი მრავალ-სექტორული გამოცდილებით კორპორაციების ღირსეული მრჩეველია.

პროფესორი დიაბი არის დოფარის უნივერსიტეტის (DU) დამფუძნებელი პრეზიდენტი და დუს ინჟინერიის სკოლის დამფუძნებელი დეკანი (2004-06), ომანის სასულთნოში. ის გახდა ყველაზე ახალგაზრდა უნივერსიტეტის პრეზიდენტი ომანში, 44 წლის ასაკში. უფრო მეტიც, DU იყო პირველი კერძო უნივერსიტეტი, რომელმაც მიიღო ინსტიტუციური აკრედიტაცია ომანის აკრედიტაციის საბჭოსგან. 2022 წლის 21 სექტემბერს მან მიიღო ლიბანის ღირსების ორდენი: დიდი კორდონის ხარისხი ლიბანის პრეზიდენტისგან. მან მოიპოვა 30-ზე მეტი საერთაშორისო და ეროვნული ჯილდო, მისი 100-ზე მეტი ციტატა შეტანილია 40-ზე მეტ საერთაშორისო გამოცემაში, მათ შორის „Who's Who in the World“ და „Who's Who in Science & Engineering“. მას წარდგენილი აქვს 200-ზე მეტი მნიშვნელოვანი მოხსენება და მიწვეული იყო 2007 წლის ოქტომბერში, ნობელის პრემიის 20 ლაურეატთან ერთად, აბუ დაბიში "მოაზროვნეთა მე-2 ბიენალე ფესტივალზე", როგორც 90 მსოფლიო მოაზროვნიდან ერთ-ერთი. ის არის „Rifca Taji Foundation“ საქველმოქმედო არასამთავრობო ორგანიზაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, რომელიც ზრუნავს სამ ძირითად მიმართულებაზე: ქალთა გაძლიერება, საზოგადოებრივი საქმიანობა და განათლება. ის მტკიცედ უჭერს მხარს ქალთა გაძლიერებას, მრავალფეროვნებას და ინკლუზიას. ის იყო ამ მიმართულებების საბჭოს წევრი, მათ შორის ტოლერანტობისა და მშვიდობის გლობალური საბჭოს, სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტის, კულტურულისა დიპლომატიის აკადემიის და სამხრეთ ნიუ ჰემფშირის უნივერსიტეტის გლობალური განათლების მოძრაობის (GEM). მისი კარიერა ასახავს დემონსტრირებულ გამოცდილებას წამყვან, ფართომასშტაბიან ორგანიზაციებში, რისკების შერბილების ეფექტიანი ცვლილებების მენეჯმენტს, სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებას, პროექტების მართვას 30-ზე მეტ ქვეყანაში და კრიზისის მართვას ეფექტური კომუნიკაციების გზით. სრული CV (155 გვერდი) შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე.